ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5125259

ნომერი: AR1771364

თარიღი : 03.09.2020

გაცემის თარიღი : 01.10.2020

გაცნობის თარიღი : 01.10.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N 113;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი დალაქიშვილი პ/ნ 31001040497
- მცხეთის რ-ნი სოფ. მუხრანი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 სექტემბრის №4655542 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 03

სექტემბერს №AR1771364 განცხადებით მომართა გიორგი დალაქიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 23 სექტემბრის №4655542 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 სექტემბრის №4655542 გადაწყვეტილებით შეთანხმდა ქალაქი თბილისი, ქუჩა თ. ერისთავი, №8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.094), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი №2, სახლი №4) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 23 სექტემბრიდან 2020 წლის 23 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 23 სექტემბრის №4655542 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ პარკინგების გადანაწილების სქემაზე დატანილია №4 სახლისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომები (23 ავტოსადგომი), რომლის ფართობი (341.6 კვ.მ.) ბრძანებაში არ არის დაფიქსირებული. ასევე, №4 სახლისთვის განკუთვნილი ანალოგიური რაოდენობის ღია ავტოსადგომები (23 ავტოსადგომი) არის დატანილი სამსახურის 2020 წლის 21 სექტემბრის №5111019 ბრძანებით შეთანხმებულ პარკინგების გადანაწილების განახლებულ სქემაზე. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული ღია ავტოსადგომების ფართობის (341.6 კვ.მ.) სამსახურის 2019 წლის 23 სექტემბრის №4655542 გადაწყვეტილებაში დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. ამასთან, პარკინგების გადანაწილების სქემაზე დანატილ იქნა ღია ავტოსადგომების ფართობები (23 ავტოსადგომი).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 სექტემბრის №4655542 გადაწყვეტილებაში და ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომები: 341.6 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 სექტემბრის №4655542 გადაწყვეტილებით შეთანხმებული პარკინგების გადანაწილების სქემა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი პარკინგების გადანაწილების სქემით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 სექტემბრის №4655542 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 სექტემბრის №4655542 გადაწყვეტილებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.